

საქნახშირი

პრესრელიზი

„საქნახშირი(ჯი-აი-ჯი)“-ს მენეჯმენტი საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების წერილზე ოფიციალურ პასუხს ავრცელებს

„საქნახშირი(ჯი-აი-ჯი)-ს მენეჯმენტი საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების წერილზე ოფიციალურ პასუხს ავრცელებს. საქართველოს მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირის პრეზიდენტის ბატონ თამაზ დოლაბერიძის მიერ გამოთქმულ პრეტენზიებს არ იზიარებს კომპანიის ხელმძღვანელობა და აცხადებს, რომ დასაქმებულთათვის არ შეუზღუდავს ხელშეკრულების გაცნობისა და მასზე გონივრული ვადის ფარგლებში განსჯის შესაძლებლობა. ხოლო ხელშეკრულებებზე ხელმოწერები მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენის პრინციპის ფარგლებში ხდება.ამასთანვე სოციალური დიალოგის ხელშეწყობის მიზნით მენეჯმენტი გამოვთქვამთ მზაობას, რათა პროფკავშირების მიერ მიერ მოხდეს შრომითი ხელშეკრულებების პროექტების გადახედვა და მოქმედ კანონმდებლობასთან მათი შესაბამისობის დადასტურება. ამ დროისთვის აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქნახშირის ადმინისტრაციაში მიმდინარეობს შეხვედრა, რომელსაც თამაზ დოლაბერიძე, მენეჯმენტის წარმომადგენლები და დასაქმებულთა ნაწილი ესწრება.

ცნობისთვის 2016 წლის 29 თებერვლის შეთანხმების საფუძველზე „ამაწლის 1 აპრილიდან კომპანიაში დასაქმებულთა ანაზღაურება უნდა გაიზარდოს ჯამურად 10% ის ოდენობით.სწორედ ამ ვალდებულებების შესრულების მიზნით,დასაქმებულთა ინტერესების დაცვისათვის მუშავდება შრომითი ხელშეკრულებების პროექტები, შესაბამისად დასაქმებულებს განემარტათ მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები.

აღნიშნული წერილი ოფიციალური პასუხის ფორმატში გაეგზავნა საქართველოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, ბატონ დავით სერგენკოს და საქართველოს მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირის პრეზიდენტს,ბატონ თამაზ დოლაბერიძეს.

„საქნახშირი (ჯი-აი-ჯი)-ს მენეჯმენტს წერილი საქართველოს მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირის პრეზიდენტის ბატონ თამაზ დოლაბერიძის წერილი 22 მარტს გაუგზავნა.

22.03.16

შპს "საქნახშირი ჯი-აი-ჯი" დაარსდა 2006 წლის აპრილში. მისი დამფუძნებელია „ჯი-აი-ჯი“. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ქვანახშირის მოპოვებითი სამუშაოები და შემდგომი გამდიდრება. დღესდღეობით საქნახშირი საქართველოში ქვანახშირის აქტივების ძირითადი მფლობელი და ერთადერთი მომპოვებელი კომპანიაა.

კომპანიის ძირითად აქტივებს წარმოადგენს შიდიგურის და მინდელის სახელობის მადაროები, რომლებიც მდებარეობს ტყიბული-შაორის სახადოების ტერიტორიაზე.

